


შეფასების ფორმები და სახეები



განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის სწავლების პროცესის მაქსიმალურად ხელშეწყობა.

მოსწავლე მენტორ - მასწავლებლის ხელმძღვანელობით ამუშავებს ცენტრის სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივ საკითხებს.

შემაჯამებელი მუშაობის დასრულების შემდეგ მენტორ- მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებით წარადგენს მოსწავლის ნაშრომს დადგენილ ვადებში ცენტრში განმსაზღვრელი შეფასებისათვის. განმავითარებელი შეფასება განისაზღვრება ხუთქულიანი სისტემით.

განმსაზღვრელი შეფასების კომისია დადგენილ ვადებში ამოწმებს მოსწავლის პორტფოლიოს და გასაუბრებით ადგენს მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით და იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რამდენად დაეუფლა იგი საგნობრივი პროგრამებით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რამდენად დაშორდა ან მიუახლოვდა სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. განმსაზღვრელი შეფასება შემაჯამებელი დავალების სახით აკონტროლებს სწავლის ხარისხს, იგი განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა და ფასდება 5 ქულიანი სისტემით.

განმსაზღვრელი შეფასების კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან. მათგან არანაკლებ ერთისა არის საგნის სპეციალისტი. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს მოსწავლის მენტორ-მასწავლებელი.

პორტფოლიო უნდა მოიცავდეს: ა) თემის სრულ დასახელებას ; ბ)

პორტფოლიოს ავტორის დასახელებას; გ) დამუშავებული საკითხების ჩამონათვალს; დ) აღნიშნული საკითხის ირგვლივ მოძიებული ინფორმაციის ნუსხას (გამოყენებული საიტების ჩამონათვალს, პუბლიკაციების და მათი ავტორების ჩამონათვალს ჟურნალებისა და გამომცემლობების დასახელებით); ე) დამუშავებულ საკითხს; ე) მეცადინეობის განმავლობაში შესრულებულ ყველა პრაქტიკულ სამუშაოს; ვ) ვიზუალურ მასალას თვითნაკეთი თვალსაჩინოებებისა თუ ვიდეო მასალის სახით.

მოსწავლის ნამუშევარი შეიძლება წარმოდგენილი იყოს რეფერატის, პროექტის, ლაბორატორიული კვლევის და ა.შ. სახით

პორტფოლიოს განხილვისა და მოსწავლესთან დასახელებულ თემაზე გასაუბრების შემდეგ, განმსაზღვრელი შეფასების კომისიის გადაწყვეტილებას ოქმით აფორმებს კომისიის თავმჯდომარე და ხელს აწერს თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

საგნის შემაჯამებელი დავალების ქულის გამოანგარიშების წესი:
მოსწავლის მიერ თვის განმავლობაში ორივე კომპონენტში განმავითარებადი და განმსაზღვრელი ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;
განისაზღვრება მოსწავლის შუალედური შეფასების III დონე: **მაღალი, საშუალო და დაბალი.**

მაღალი დონე -5 ქულა;

საშუალო დონე -3-4 ქულა;

დაბალი დონე -1-2 ქულა.

დაბალი შუალედური შეფასების (1-2 ქულა) მქონე მოსწავლე ირიცხება შესაბამის ჯგუფიდან და სწავლას მომდევნო თვეში ვერ გააგრძელებს.

იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, მოსწავლის მშობელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. ასეთი მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის შემაჯამებელი შეფასების ქულას და ჯამი იყოფა ორზე;

თუ მოსწავლემ შემაჯამებელი დავალების მუშაობის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის საათების 30% და მეტი,ის განმსაზღვრელი შეფასებით აღარ შეფასდება და გაირიცხება შესაბამისი ჯგუფიდან

მაქსიმალური შუალედური შეფასების (5 ქულა) მქონე მოსწავლეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სემესტრის ბოლოს „**ნორჩი მეცნიერის**“ ტიტულის მოსაპოვებლად გამართულ არჩევნებში.